საქართველოს და სომხეთის მოსაზღვრე რეგიონებში სიღარიბის დაძლევა და ნდობის აღდგენა სოფლად მდგრადი განვითარების საკითხებში სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების გზით (STAGE II)

STAGE II პროექტის მიზანია, საქართველო-სომხეთის მოსაზღვრე რეგიონებში სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების და სამოქალაქო ინსტიტუტებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის გაუმჯობესების გზით, მხარი დაუჭიროს სოფლად მდგრად განვითარებას და ეთნიკურ სომხებსა და ქართველებს შორის ნდობის აღდგენისთვის გარემოებების შექმნას.

პროექტი ხორციელდება შემდეგ მოსაზღვრე რეგიონებში: სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლი (საქართველო) და ლორე, ტავუში და შირაქი (სომხეთი). აღნიშნული პროექტი წარმოადგენს STAGE I პროექტის გაგრძელებას, რომელიც დასრულდა 2009 წელის 30 აპრილს. პროექტის პირველად სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომელთა რიცხვშიც შეიძლება შევიდეს მეწარმეთა გაერთიანებები, სათემო გაერთიანებები, სოფლის ასოციაციები, სამელიორაციო ასოციაციები და სოციალურ საკითხებზე მომუშავე ჯგუფები. პროექტი აგრეთვე მოიცავს ადგილობრივ თვითმმართველობასაც, როგორც მეორად სამიზნე ჯგუფს. პროექტის საბოლოო ბენეფიციარს შეადგენს სამიზნე რეგიონების სოფლის მოსახლეობა, რომელის უფლებები და საჭიროებები უკეთესად იქნება დაცული ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ.

პროექტის ძირითადი მიზანია, წვლილი შეიტანოს სიღარიბის დაძლევასა და ნდობის აღდგენაში საქართველო-სომხეთის მოსაზღვრე რეგიონებში სოფლად მდგრადი განვითარებისადმი (დემოკრატიული) თანამონაწილეობრივი/უფლებამოსილების გაფართოვებაზე ორიენტირებული მიდგომების გაძლიერებით.

პროექტის ამოცანაა გააძლიეროს სამოქალაქო საზოგადოებრივი ინსტიტუტები და ადგილობრივი თვითმმართველობა და გაზარდოს სოფლად მდგრადი განვითარებისთვის მოსაზღვრე რეგიონებს შორის თანამშრომლობა.

პროექტის განხორციელების შედეგად მიიღწევა შემდეგი შედეგები:

სამხრეთ საქართველოსა და ჩრდილოეთ სომხეთის მოსაზღვრე სოფლებში სამოქალაქო საზოგადოების 10 ინსტიტუტის მიერ სოფლის განვითარებისთვის საჭიროებების ეფექტური ადვოკატირება უკეთესი ორგანიზაციული შესაძლებლობებისა და ადამიანური რესურსების გამოყენებით

საქართველოსა და სომხეთში, აგრეთვე მოსაზღვრე რეგიონებში გაუმჯობესებული თანამშრომლობა (გაცვლა, სწავლება და სოფლის განვითარების გამოწვევებზე ეფექტური რეაგირება) სამოქალაქო საზოგადოებრივ ინსტიტუტებსა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის ადგილობრივი საჭიროებების გამოსავლენად

პროექტი დაფინანსებულია ავსტრიის განვითარების თანამშრომლობა და თანამშრომლობა აღმოსავლეთ ევროპასთან (ADC) მიერ (დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებ გვერდებს: www.mfa.at/adc, www.ada.gv.at), რომელიც ხორციელდება CARE ავსტრიისა და CARE საერთაშორისო კავკასიაში მიერ, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად: სამოქალაქო განვითარების სააგენტო (CiDA) საქართველოში და აგრობიზნესისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ცენტრი (CARD) სომხეთში. STAGE II პროექტის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენს 463 980 ევროს. პროექტი ხორციელდება მიმდინარე წლის 1 მაისიდან და გრძელდება 2011 წლის 31 ოქტომბრამდე.

financed by:
Austrian Development Cooperation